საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-319

26/04/2022

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის მიმდებარედ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიკოთულას (№3 უბანი) ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხევის მიმდებარედ, მდ. რიკოთულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის მიმდებარედ, მდ. რიკოთულას მარჯვენა სანაპიროზე, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1) მონაკვეთის სიახლოვეს. ავტომაგისტრალის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა განშტოება მეტწილად კვეთს ან მიუყვება მდინარე რიკოთულას კალაპოტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროზიული პროცესების შეკავების მიზნით, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება და 124 მეტრი სიგრძის და 6 მეტრი სიმაღლის არმირებული ბეტონის კედლის მოწყობა. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-368260.21, Y-4661745.34; X-368369.85, Y-4661696.4. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 85 მ-ით.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. რიკოთულას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. რიკოთულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 12 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 75 კმ^2. დოკუმენტის თანახმად, 1%-იანი უზრუნველყოფის შესაბამისი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 200 მ^3/წმ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 5,05 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის და სხვა დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს. არმირებული ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება 2 ეტაპად, 3-3 თვის განმავლობაში. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება: ერთი ექსკავატორი, ერთი ბულდოზერი, ერთი ამწე მანიპულატორი, 2 ავტოთვითმცლელი და 4 ბეტონმზიდი. საპროექტო უბნისაგან წყლის ნაკადის არიდების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, ნაპირდაცვითი ნაგებობის საძირკვლის მოსაწყობად, თავდაპირველად განხორციელდება გრუნტის ექსკავატორით დამუშავება და ხრეშისა და ბეტონის საგების მოწყობა, რის შემდეგაც განთავსდება მონოლითური რკინაბეტონის კედელი. სამშენებლო სამუშაოების შემდგომ ეტაპზე მოეწყობა ჰიდროიზოლაცია და დრენაჟი. ნაპირსამაგრი სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოხდება ტემპერატურულ-დეფორმაციული ნაკერების მოწყობა და დამუშავებული გრუნტის უკუყრა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას არ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საპროექტო სამუშაოებისას, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი; მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა (10 კმ/სთ-მდე), ცხელ ან/და ქარიან ამინდში გრუნტის გზის რეგულარულად წყლით დანამვა; სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი; მასალების სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის და გადმოტვირთვის სიმაღლის შეზღუდვა.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ნაპირსამაგი სამუშაოების განხორციელების პერიოდში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით, არმირებული ბეტონის კედლის მოწყობის პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მდ. რიკოთულას და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერ ფენის მოხსნა და მშენებარე ავტომაგისტრალის ბუფერულ ზონაში განთავსება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ ითვალისწინებს მერქნიანი ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებას და მცენარეულ საფარზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1) მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების შედეგად, საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება მნიშვნელოვანი ცხოველთა სახეობები. ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფაუნის წარმომადგენლებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. რიკოთულას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.

სკრინინგის განცხადების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის მიმდებარედ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიკოთულას (უბანი №3) ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი